



საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№ 29

10 აგვისტო 2021 წელი

„სენაკის მუნიციპალიტეტის დასახლებაში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2021 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის №11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის 09.07.2021 წ. წერილით ირკვევა, რომ ზემო ჭალადიდის მოსახლეობა ითხოვს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის №11 განკარგულებაში - „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ცვლილების განხორციელებას. ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში 2021 წლის 01 მარტის საერთო კრების გადაწყვეტილებით გათვალისწინებული იყო არხის ამოწმენდა, რომლისთვისაც გამოყოფილ იქნა 14 000 (თოთხმეტი ათასი) ლარი. ვინაიდან სოფელში არხის ამოწმენდა განხორციელდა ინვესტორის მიერ, აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე ზემო ჭალადიდის მოსახლეობა ითხოვს არხის ამოწმენდის სამუშაოების განხორციელება ჩანაცვლდეს ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალურ გზაზე გარე განათების ბოძების (ლამპიონების) მოწყობითა (10 000 (ათი ათასი) ლარი) და ამბულატორიის ავარიული შენობის კედლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებით (4 (ოთხი) ათასი ლარი).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის დასახლებაში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2021 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის №11 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.

2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ.№ 247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ბადრი კალანდარიშვილი

